სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N443

ქ. ბათუმი 05 დეკემბერი 2017 წ.

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის სულხან ღლონტის სახით და მეორე მხრივ, ფ.პ. იური ბაბაიანი (შემდგომში „შემსრულებელი“), („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი: 63500000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას 2017 წლის 06-08-09 დეკემბერს (3 დღე) დეპარტამენტის სტუმრებს, კერძოდ, ჟურნალისტებს ბელორუსის რესპუბლიკიდან (სულ 6 პიროვნება) გაუწიოს გიდის მომსახურება შემდეგი მარშრუტით: ქ. ბათუმის ტური, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, მახუნცეთის ჩანჩქერი, თამარ მეფის თაღოვანი ხიდი, ქედა - სოფელი პირველი მაისი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. მომსახურების ღირებულება ერთ დღეზე შეადგენს 100 (ასი) ლარს, რომელშიც შედის საშემოსავლო გადასახადი 20% - 20 (ოცი) ლარი.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს, რომელშიც შედის საშემოსავლო გადასახადი 20% - 60 (სამოცი) ლარი. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შემდეგ, დამკვეთისა და შემსრულებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.2.დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია - მიხეილ კოპლატაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

5. მხარეთა რეკვიზიტები

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	**ფიზიკური პირი - იური ბაბაიანი**
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86	მისამართი: ქ. ბათუმი, ინასარიძის ქ. №6. ბ.18.
	საიდენტიფიკაციო კოდი: 61002003981
	ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი BAGAGE22 ანგარიში N aGE 54 BG 0000000827491900
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	
დეპარტამენტის თავმჯდომარე	**ფიზიკური პირი**
_____ /სულხან ღლონტი/ ბ.ა.	_____ /იური ბაბაიანი/ ბ.ა.